*დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის*
*რექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის №326 ბრძანებით*

*ცვლილება შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის*
*2021 წლის 16 სექტემბრის №9129, 2022 წლის 21*
*ნოემბრის № 138595, 2023 წლის 1 მაისის № 13966*
*ბრძანებებით*

# მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების წესი

2020

## დოკუმენტის შინაარსი


*მუხლი 1. ზოგადი დებულებები* ..... **Error! Bookmark not defined.**

*მუხლი 2. მასწავლებლის მომზადების საგანმნანათლებლო პროგრამა და პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველი* ..... *3*

*მუხლი 3. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ შიდა გამოცდაზე რეგისტრაციის წესი* ... *3*

*მუხლი 4. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩატარების წესი* ..... *4*

*მუხლი 5. საგამოცდო ნაშრომის გასაჩივრება* ..... *4*

*მუხლი 6. მასწავლებლი მომზადების საგანმანათლბლო პროგრამაზე ჩარიცხვა და დასაფინანსებელი პირების შერჩევის წესი* ..... *5*

*მუხლი 7. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია* ..... *6*

*მუხლი 8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება* ..... *7*

*მუხლი 9. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტა* ..... *8*

*მუხლი 10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის აღდგენა* ..... *9*

*მუხლი 11. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლებები და ვალდებულებები* ..... *9*

*მუხლი 12. სასწავლო დატვირთვა, დამატებით სემესტრზე და დამატებით სასწავლო კურსებზე რეგისტრაცია* ..... *10*

*მუხლი 13. სწავლის საფასური* ..... *11*

*მუხლი 14. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიღწევების შეფასება* ..... *11*

*მუხლი 15. გამოცდების ჩატარების წესი* ..... *13*

*მუხლი 16. მასწავლებლის მომზადების სერთიფიკატი* ..... *13*

*მუხლი 17. დასკვნითი დებულება* ..... *14*

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვასთან, სტატუსის შეჩერებასთან, აღდგენასთან, შეწყვეტასა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები.

## მუხლი 2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველი

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში.

3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი სამხედრო / სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირს (ამ შემთხვევაში აუცილებელია სრული ზოგადი განათლების ქონა), რომელსაც წარმატებით აქვს ჩაბარებული ,,საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 სექტემბრის №193/ნ ბრძანების (შემდგომში – საგნის გამოცდის ჩატარების წესი) გათვალისწინებული იმ საგნის გამოცდა, რომლის შესაბამისი აკადემიური ხარისხიც/განათლებაც აქვს.

4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია:

ა) საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.

## მუხლი 3. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ შიდა გამოცდაზე რეგისტრაციის წესი

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, დოკუმენტების მიღების პერიოდი, გამოცდის თარიღი, შედეგების გამოცხადების თარიღი, გასაჩივრების ვადა, საბოლოო შედეგების გამოცხადების თარიღი და აპლიკანტთან ხელშეკრულების დადების თარიღი განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.

2. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ქვეყნდება საბუთების მიღების თარიღი, გამოცდის

შინაარსი, ჩატარების ფორმა და ინფორმაცია გამოცდასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ.

3. გამოცდაზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტს და განცხადებას თან უნდა დაერთოს რექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღრული დოკუმენტები.

### მუხლი 4. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩატარების წესი

1. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განისაზღვრება გამოცდის ფორმატი, დრო, გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა, შეფასების კრიტერიუმი, მინიმალური ქულა.

2. საგამოცდო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი.

3. გამოცდის დაწყებამდე აპლიკანტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ოთახში და დამკვირვებელს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, დამსწრე ყველა აპლიკანტი ვალდებულია ხელი მოაწეროს დასწრების ფურცელს.

4. აპლიკანტს ეკრძალება გადაწერა, საუბარი, სხვისი დახმარება ან წიგნადი რესურსის/ტექნიკის გამოყენება.

5. გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი/დამკვირვებელი აპლიკანტს აცნობს გამოცდაზე ქცევის წესებს.

6. გამოცდის წესების პირველ ჯერზე დარღვევის შემთხვევაში აპლიკანტს მიეცემა გაფრთხილება, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან, მისი ნამუშევარი ნულდება და არ მიეცემა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის იმავე წელს ჩაბარების უფლება.

7. აპლიკანტის მიერ მუშაობის დასრულების შემდეგ, საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი/დამკვირვებელი საგამოცდო ნამუშევრებს დაშიფრული სახით გასასწორებლად გადასცემს რექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ კომისიას.

8. შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან შემდგარი კომისიის შემადგენლობა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. კომისიის შემადგენლობა დაკომპლექტებული უნდა იყოს არანაკლებ 3 (სამი) დარგის სპეციალისტისგან.

9. გამოცდის შედეგები აპლიკანტებს ეცნობებათ განცხადებაში მითითებულ ელ. ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნის გზით, ასევე პერსონალური ინფორმაციის დაცვით დაშიფრული შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში.

### მუხლი 5. საგამოცდო ნაშრომის გასაჩივრება

1. აპლიკანტი უფლებამოსილია საგამოცდო შედეგების გაცნობის შემდეგ, რექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში გაასაჩივროს მიღებული შედეგი.

2. აპლიკანტის საჩივარს განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი სააპელაციო კომისია. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს შესაბამისი დარგის სულ მცირე 3 (სამი) სპეციალისტისაგან.

3. სააპელაციო კომისიის წევრი ამავდროულად არ უნდა იყოს საგამოცდო კომისიის წევრი. სააპელაციო კომისიის შედეგები აპლიკანტებს ეცნობებათ რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

## მუხლი 6. მასწავლებლი მომზადების საგანმანათლბლო პროგრამაზე ჩარიცხვა და დასაფინანსებელი პირების შერჩევის წესი

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე. აპლიკანტთა ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

2. უნივერსიტეტი რანჟირების დოკუმენტს ქმნის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად.

3. თუ რანჟირების დოკუმენტის შექმნის პროცესში აღმოჩნდება, რომ თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ აპლიკანტს, უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას მისთვის გამოყოფილი მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების დამატების თაობაზე.

4. დასაფინანსებელ პირთა შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) დაფინანსებას მოიპოვებენ ის პირები, რომლებსაც უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდაში ექნებათ ყველაზე მაღალი შეფასება;

ბ) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების საფუძველზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტებს, რომელთაც უნივერსიტეტისთვის გამოყოფილ დასაფინასებელ პირთა ადგილების ფარგლებში თანაბარი ჩარიცხვის და დაფინანსების უფლება აქვთ მოპოვებული (ბოლო დასაფინანსებელ ადგილზე თანაბარი ქულა აქვს მიღებული ორ ან მეტ აპლიკანტს), დასაფინანსებელ პირთა სიაში გათვალისწინებულ იქნება აპლიკანტი, რომელსაც საგნის გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი ქულა;

გ) თუ უნივერსიტეტისთვის გამოყოფილ დასაფინასებელ პირთა ადგილების ფარგლებში თანაბარი ჩარიცხვის და დაფინანსების უფლება აქვს მოპოვებული ორ ან მეტ აპლიკანტს

(ბოლო დასაფინანსებელ ადგილზე თანაბარი ქულა აქვს მიღებული ორ ან მეტ აპლიკანტს) და ამავდროულად საგნის გამოცდაზე აქვთ მიღებული თანაბარი ქულა, რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი კომისია უზრუნველყოფს მათთან დამატებითი გამოცდის ჩატარებას. გამოცდის ჩატარების ფორმატი, შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. დასაფინანსებელ პირთა სიაში გათვალისწინებულ იქნება აპლიკანტი, რომელსაც უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ დამატებით გამოცდაზე მიღებული ექნება უფრო მაღალი ქულა.

4[1]. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მისთვის განსაზღვრული ადგილების საერთო რაოდენობის ფარგლებში, აუთვისებელი ადგილები გადაანაწილოს მასწავლებლის მომზადების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამის მოდულზე.

5. აპლიკანტის ჩარიცხვა ფორმდება, უნივერსიტეტსა და აპლიკანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები, დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც იმავე წლის 5 ოქტომბრამდე იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. რექტორის ერთიან აქტში მითითებული უნდა იყოს აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შესაბამის საგნის გამოცდაზე/საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებაზე აპლიკანტის საიდენტიფიკაციო კოდი, ,,საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 სექტემბრის №193/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგანი, რომელიც წარმატებით ჩააბარა ან რომელშიც საგნობრივი კომპეტენცია დაადასტურა აპლიკანტმა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულა.

6. უნივერსიტეტი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში 7 ოქტომბრის ჩათვლით წარადგენს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამის ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ ელექტრონული ფორმით.

### მუხლი 7. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. უნივერსიტეტში ჩარიცხული პირი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში განცხადებისა და თანდართული საბუთების წარმოდგენას, უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე წესით; საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებასა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, ხოლო ჩარიცხული პირის შემთხვევაში, უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე წესით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განხორციელებას.

2. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს წინამდებარე წესით განსაზღვრული და მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში საგნებზე რეგისტრაციას რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნულ პერიოდში „ჩარიცხული პირის“ მიერ რეგისტრაციის გაუვლელობა იწვევს „ჩარიცხული პირის“ სტატუსის შეჩერებას.

3. სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ, „ჩარიცხული პირის“ მიერ რეგისტრირებული საგნის გაუქმება[1] ან/და სტატუსის შეჩერება სტატუსის აღდგენის შემთხვევაში არ ათავისუფლებს უნივერსიტეტსა და მას შორის წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებებისაგან.[2]

## მუხლი 8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება

1. „ჩარიცხული პირის“ სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) „ჩარიცხულ პირსა“ და დაწესებულებას შორის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების (სწავლის საფასურის გადაუხდელობა) დარღვევა;

ე) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერებად მიიჩნევა უნივერსიტეტისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების პერიოდში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირსა და უნივერსიტეტს შორის საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია.

---

[1] *გამოწვეულია „ჩარიცხული პირის“ სტატუსის შეჩერებით, სტატუსის შეწყვეტით, კონკრეტულ საგანზე რეგისტრაციის გაუქმებით.*

[2] *„ჩარიცხული პირის“ მიერ წინასწარ გადახდილი მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური დაბრუნებას ექვემდებარება (სტატუსის შეჩერების, სტატუსის შეწყვეტის, კონკრეტულ საგანზე რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში) სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში „ჩარიცხული პირის“ მიერ სათანადო განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში. ერთი კვირის შემდეგ წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური არ ბრუნდება."*

4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე;

5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.

6. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

## მუხლი 9. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტა

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ) პირადი განცხადება;

გ) სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

დ) გარდაცვალება ან გარდაცვლილად აღიარება სასამართლოს მიერ;

ე) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ ისეთი დისციპლინური გადაცდომა, რომლისთვისაც უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსით გათვალისწინებულია სტატუსის შეწყვეტა;

ვ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, რაც იწვევს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთან დადებული საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტას. აღნიშნული გარემოება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისგან.

## მუხლი 10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის აღდგენა

1. სტატუსშეჩერებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია საკუთარი განცხადების საფუძველზე ან/და სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში აღიდგინოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსი. სტატუსის აღდგენა ხდება იმ გარემოების აღმოფხვრის შემდეგ, რამაც გამოიწვია სტატუსის შეჩერება.

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის აღდგენა (გარდა სემესტრის განმავლობაში ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზით სტატუსის შეჩერების მიზეზისა[3]) დასაშვებია სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირისა.

## მუხლი 11. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლებები და ვალდებულებები

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს უფლება აქვს:

---

*3 მაგ: თუ* მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს *მე-7 კვირას ფინანსური დავალიანების საფუძველზე შეუჩერდა* მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის *სტატუსი, მე-8 კვირას აღმოფხვრა შეჩერების საფუძველი, მომდევნო კვირებში (მაგ: მე-9, მე-10) უფლებამოსილია აღიდგინოს სტატუსი.*

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;

ე) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ვ) წარმოადგინოს დასაბუთებული წინადადებები, სამართლიანი, ობიექტური და კრიტიკული შენიშვნები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას;

ზ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

თ) პერიოდულად მოახდინოს უნივერსიტეტის პერსონალის მუშაობისა და სასწავლო პროცესის შეფასება;

ი) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში;

კ) უნივერსიტეტისგან მოითხოვოს მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

ლ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება და ისარგებლოს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მისთვის განსაზღვრული სერვისებით/შეღავათებით.

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი ვალდებულია:

ა) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის დებულება, შინაგანაწესი და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

## მუხლი 12. სასწავლო დატვირთვა, დამატებით სემესტრზე და დამატებით სასწავლო კურსებზე რეგისტრაცია

1. აქტიური სტატუსის მქონე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია ერთი აკადემიური წლის განმავლობაში დარეგისტრირდეს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებზე 60 კრედიტის ფარგლებში (ერთი სასწავლო სემესტრი - 30 კრედიტი).

2. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისთვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი ვალდებულია

აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიაროს ამ წესით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცედურების შესაბამისად.

3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადაში ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, უფლება ეძლევა დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრის/სემესტრების განმავლობაში.

4. სასწავლო კურსით განსაზღვრული კრედიტის საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, შემდეგი ფორმულით: მიმდინარე წლიური გადასახადი იყოფა წლიური კრედიტების რაოდენობაზე - 60-ზე, რის შედეგად მიიღება 1 კრედიტის საფასური, რომელიც მრავლდება კონკრეტული სასწავლო კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობაზე.

5. დამატებით სემესტრზე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის რეგისტრაცია ხორციელდება ამ წესით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცედურების შესაბამისად.

## მუხლი 13. სწავლის საფასური

სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრულად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, გარდა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული განსხვავებული გადახდის წესისა. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთან შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი.

## მუხლი 14. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიღწევების შეფასება

1. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

2. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს (შუალედურ გამოცდას ან/და მიმდინარე სემესტრულ შეფასებას);

ბ) დასკვნითი გამოცდის / პროექტის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს საერთო შეფასების 40 %-ისა.

5. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

6. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, Fx-ის მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

8. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

9. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს უფორმდება შეფასება F (0 ქულა).

10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის დადებითი შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვრის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით, რომელიც უნდა შეადგენდეს 51 ქულას ან მეტს.

11. უნივერსიტეტი შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრავს შემდეგ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს: შუალედური შეფასების 50% და დასკვნითი შეფასების 50% +1.

12. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია გაასაჩივროს შუალედური შეფასების წერით (სასაწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული ტესტი, ესე/ესეი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, ქვიზი და სხვა.[4]) კომპონენტში მიღებული შეფასება. მიღებული შეფასების გაცნობიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია მიმართოს სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს წერითი ნაშრომის გაცნობისა და განხილვის მიზნით. თუ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი ნაშრომის გაცნობის და განხილვის შემდეგ ჩათვლის, რომ მის მიერ შესრულებული ნაშრომი შეფასებულია არაობიექტურად, ის უფლებამოსილია განხილვიდან ორი დღის ვადაში მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს წერილობითი განცხადებით მიღებული შეფასების გასაჩივრების თაობაზე. დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე რექტორის სამართლებრივი აქტით მტკიცდება სააპელაციო კომისიის შემადგენლობა. სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს: ა) დარგის სპეციალისტი აკადემიური პერსონალი; ბ) დარგის სპეციალისტი მოწვეული პერსონალი; გ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი; დ) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი; ე) იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი. სააპელაციო კომისიის დასკვნა საბოლოოა და აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც, თავის მხრივ, აუქმებს იქამდე არსებულ შეფასებას.

## მუხლი 15. გამოცდების ჩატარების წესი

გამოცდების ჩატარების და გამოცდაზე ქცევის წესები განისაღვრება ევროპის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესის შესაბამისად.

## მუხლი 16. მასწავლებლის მომზადების სერთიფიკატი

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ფორმის სერტიფიკატი და დანართი.

[4] მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ შუალედურ და დასკვნით დამოცდებში მიღებული შეფასებების გასაჩივრების პროცედურა განისაზღვრება შპს ევროპის უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესის“ შესაბამისად.

2. სერთიფიკატის გაცემის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესის“ შესაბამისად.

### მუხლი 17. დასკვნითი დებულება

ამ წესის ძალაში შესვლის შემდეგ, მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩაითვალოს უნივერსიტეტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სხვაგვარად აწესრიგებენ ამ წესით გათვალისწინებულ ურთიერთობებს.